# თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება 2526

## ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკურმა პირებმა თანასაკუთრებაში არსებული გაუმიჯნავი საცხოვრებელი ფართობი, 2015 წელს გააქირავეს საცხოვრებელი მიზნით.

ორივე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად. თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებლად განახორციელა ანგარიშგება და თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, 2015 წლის დეკლარაციაში, დაბეგრა 5-პროცენტიანი განაკვეთით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

## შეფასება

სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული ფიზიკური პირები არ ახორციელებდნენ გამოქვითვებს შემოსავლიდან, რომელიც მიიღეს საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად, სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ამ ფიზიკური პირების მიერ შემოსავლის 5%-ით დაბეგვრა მართლზომიერია.

## ღონისძიებები

პირთა ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.

**ანოტაცია**
**„თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება“ №2526**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, ფიზიკურმა პირებმა თანასაკუთრებაში არსებული გაუმიჯნავი საცხოვრებელი ფართობი, 2015 წელს გააქირავეს საცხოვრებელი მიზნით.

ორივე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად. თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებლად განახორციელა ანგარიშგება და თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, 2015 წლის დეკლარაციაში, დაბეგრა 5-პროცენტიანი განაკვეთით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული ფიზიკური პირები არ ახორციელებდნენ გამოქვითვებს შემოსავლიდან, რომელიც მიიღეს საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად, სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ამ ფიზიკური პირების მიერ შემოსავლის 5%-ით დაბეგვრა მართლზომიერია.